2022 წელს საქართველოს პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა

2022 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, განხორციელებული რეფორმის შედეგად და საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, გენერალური პროკურორის ბრძანებით **ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა.**

დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგია.

სტრატეგიაში პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის, ასევე ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირების და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება. ასევე, შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესება და შშმ პირების მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა.

საინფორმაციო კამპანია ფემიციდის წინააღმდეგ

🛑 2022 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, აშშ-ის საელჩოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო.

✓კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ვიდეორგოლები საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებისა და პროკურორების მონაწილეობით.

✓ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, კამპანიის ფარგლებში სპეციალურად დამზადდა ბუკლეტები სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე. პროკურორებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

✓ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განთავსდა 40-მდე სარეკლამო აბრა და ვიდეო მონიტორი.

✓ კამპანიის ფარგლებში პროკურატურამ ითანამშრომლა საერთო ჯამში 15-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და სახელმწიფო უწყებასთან.

✓ კამპანიის ფარგლებში სპეციალიზებულმა პროკურორებმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში 70-მდე საინფორმაციო შეხვედრა

გამართეს მოსახლეობასთან, ბაღის აღმზრდელებთან, სკოლების მანდატურებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მუნიციპალიტეტისა და მერიის წარმომადგენლებთან.

✓ პროკურორები და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქართველოს ოთხ ქალაქში: თბილისში, გორში, სენაკსა და ზუგდიდში ესტუმრნენ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებს და შეხვდნენ ძალადობაგამოვლილ მსხვერპლ ქალებს.

✓ უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, პროკურორებმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს.

✓ პროკურატურის ორგანიზებით, კახეთში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მულტისექტორული ადგილობრივი საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

✓ პროკურორებმა საქართველოს ექვს ქალაქში საჯარო ლექციები ჩაატარეს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან.

✓ კამპანიის ფარგლებში, სპეციალიზებულმა პროკურორებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის ყველა ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებთან. შეხვედრებს საერთო ჯამში 190 კოორდინატორი დაესწრო.

✓ სპეციალიზებული პროკურორებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე დაიწყო ევროპის საბჭოს ორი პროგრამა: HELP-ის სასწავლო კურსი და მენტორინგის პროგრამა.

✓დამტკიცდა სახელმძღვანელო მითითება „ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების თაობაზე“.

✓ ფემიციდის დანაშაულების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების თემაზე, გენერალურ პროკურატურაში კონფერენცია გაიმართა და გაანალიზდა ფემიციდის 2014-2022 წლების სისხლის სამართლის საქმეები.

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

♦ წარმატებით განხორციელდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ასევე ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სპეციალიზაციის სასწავლო კურსები მენეჯერებისა და პროკურორებისთვის.

✓ წარმატებით განხორციელდა ევროპის საბჭოს HELP-ის რეგიონული სასწავლო კურსი, „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე“. პროგრამაში საქართველოსთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ოთხი ქვეყანა მონაწილეობდა.

✓ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდი), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის

კომიტეტის (CEDAW) უახლესი გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსრულების პროცესში სპეციალიზებული პროკურორებისთვის ორი სასწავლო აქტივობა განხორციელდა.

✓ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიის ფარგლებში, ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებულმა პროკურორებმა შეხვედრები ჩაატარეს ადგილობრივ მოსახლეობასთან.

გენდერული თანასწორობა

● დამტკიცდა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

✓ პროკურატურა პირველი სამართალდამცავი უწყებაა, სადაც სექსუალური შევიწროების მექანიზმი დაინერგა.

✓ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, გადამზადდა პროკურატურის 554 თანამშრომელი.

შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება

▼ გენერალური პროკურორის ბრძანებით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებს სპეციალიზებული პროკურორები ხელმძღვანელობენ. ამჟამად, სპეციალიზებულია 150 თანამშრომელი.

✓ საქართველოს პროკურატურაში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგად, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა. 2021-2022 წლებში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 242%-ით აღემატება 2016-2020 წლების მონაცემებს.

✓ საქართველოს პროკურატურას, უზენაეს სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, 2022 წლის 1 მარტს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, პირველად გამოქვეყნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სრული - 2021 წლის სტატისტიკური მონაცემები.

✓ სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით, მემორანდუმის მონაწილე უწყებების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

✓ გაანალიზდა 2018-2022 წლებში რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები.

✓ ევროპის საბჭოს ექსპერტული დახმარებით სპეციალიზებული პროკურორებისთვის შემუშავდა „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პრინციპები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით“.

✓ პროკურატურის მენეჯერებმა და მოსამართლეებმა, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო შეხვედრა გამართეს.

✓ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მემორანდუმის მონაწილე უწყებების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

✓ საქართველოს პროკურატურა მეოთხე წელია აქტიურად მონაწილეობს ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიაში „მე ვირჩევ თანასწორობას“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა

▲ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრინციპები და საერთაშორისო სტანდარტი „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“, საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტია.

✓ გენერალური პროკურორის ბრძანებით დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

✓ მომზადდა „შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ“ სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის ანალიზი.

✓ შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საბჭოს და თემის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

✓ შშმ პირების უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის საკითხებზე, ასევე შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის თემაზე გაგრძელდა პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა

■ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის 19 ივლისის ანგარიშით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტებით, მსოფლიო მასშტაბით კვლავ ინარჩუნებს ადგილს ოთხშკალიანი რეიტინგული სისტემის უმაღლეს საფეხურზე – პირველ კალათაში, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია საქართველოს პროკურატურის მიერ გატარებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკით.

✓ შრომითი ტრეფიკინგის გამოვლენის მიზნით, საქართველოს პროკურატურაში შექმნილი შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი აგრძელებს აქტიურ მუშაობას.

✓ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერითა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პროკურორების, მოსამართლეებისა და გამომძიებლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

✓ პროკურატურის აქტიური ჩართულობით, საქართველოში პირველად ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ეროვნული სიმულაციური ტრენინგები ჩატარდა. საქართველო მოწინავე სახელმწიფოა რეგიონში, სადაც აღნიშნული სასწავლო კურსი დაინერგა.

ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით ინოვაციური მიდგომებისა და პროკურორების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა, ასევე დაზარალებულზე მორგებული მიდგომების პრაქტიკაში იმპლემენტაცია მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.